ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 71

2016 წლის 1 აგვისტო
ხაშური

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის #141 განკარგულებაში ,,ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში ლესია უკრაინკას მუზეუმში საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებისათვის ტექნიკური სამუშაოების საწარმოებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუზეუმების განვითარების პროგრამას დაემატოს გარკვეული ოდენობის თანხა, რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის № 141 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №141 განკარგულებით დამტკიცებულ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 1 000 ლარი. საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 160 000 ლარისა განისაზღვროს 161 000 ლარით და დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართ №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური,კოსტავას ქ.№15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

## მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი.

### პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

### პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები **161 000** ლარის ოდენობით:

| | |
|---|---|
| სულ სუბსიდიის ოდენობა | 161 000 |
| მათ შორის შრომის ანაზღაურება | 117 444 |

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.

დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.

მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

შეფასების ინდიკატორი:

მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალიერებელთა რაოდენობა;

ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა.